1 დეკემბერი

ადვენტის უამის I კვირადღე, «ა», [I], ი

2019 კვირა

ეს 2,1-5; ფს 121; რომ 13,11-14; მთ 24,37-44

ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი

ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი მთ 24,42

ახალი ლიტურგიული პერიოდი, რომელსაც დღეს ვიწყებთ, მართლაც ძღვენია ყველა ჩვენგანისთვის! სამწუხაროდ, დაუდევრად ვეპყრობით უფლისგან მიღებულ დავალებებს, ხშირად რწმენითა და სიყვარულით რომ ვღებულობთ, რაც მზერასა და გულს აშორებს მისგან. კვლავ მივმართოთ ჩვენი ყურადღება იესოსკენ, რომელიც ჩვენი ცხოვრებაა. მეტი მშვიდობა და სულგრძელობა ვპოვოთ ლოცვაში, მეტი სიტკბოება – ძმების მიმართ, რათა მივიღოს ის, ვინც მოდის!

2 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875

2019 ორშაბათი

ეს 4,2-6; ფს 121; მთ 8,5-11

მოვალ და განვკურნავ მთ 8,7

მსურს, რომ შენ დაგემსგავსო, უფალო
იესო! დღეს გახსნილი ვიქნები მის მიმართ,
ვინც დახმარებას, ღიმილსა და სიტყვას
მთხოვს. თავმდაბლობით, მსახურებისათ-
ვის მზადყოფნით, ჩემი ცხოვრების სასიხა-
რულო ძღვენად გადაქცევით, მდუმარედ
ვიტყვი, რომ მსურს შენი ვიყო. კვლავ
მოდი, უფალო იესო!

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც., +1552, (მ), თ

2019 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

სიმართლით განიკითხავს ღატაკთ ეს 11,4

მშვენიერია, რომ ვიყოთ შენი "ღატაკნი", უფალო იესო; შენს გარდა სხვა აღარაფერია უფრო ძვირფასი, რასაც მივენდობით! მაშინ კი საკვირველად შევიცნობთ, როგორ მიგვიძღვის შენი სულიწმიდა ჭეშმარიტი "სიმართლის" გზებზე, მაშინ უმცირესი ფაქტიც კი, ჩვენ რომ შეგვემთხვევა, ყველაზე გაუგებარიც კი, შეიძლება გაგებული და მიღებული იყოს, როგორც კეთილი ნება მამისა, რომელსაც სურს, რომ ჩვენ ყველა დახსნილნი და ნეტარნი ვიყოთ მის გულში.

4 დეკემბერი

ადვენტის უამის I კვირა [I] ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ., +749
წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

2019 ოთხშაბათი

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

მებრალება ეს ხალხი მთ 15,32

უკვე სამი დღეა, რაც ეს ხალხი იესოსთან იყო, მის სიტყვას ისმენდა და თანმხლები სიყვარულის ნიშნებს ხედავდა: მუნჯები ლაპარაკობდნენ, ბრმები ხედავდნენ... იესო ჭეშმარიტად მესიაა, რომელსაც ელოდნენ, მაგრამ განსხვავებული მესიაა, რომელსაც ვერასდროს წარმოიდგენდნენ: ღმრთიური ძალით აღვსილი, ადამიანის მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობით აღვსილი. იესო, მამისგან დამალული სიყვარულის მუდამ ახალო განმცხადებელო, კვლავ მოდი, რომ შენი მყოფობით გვანუგეშო!

5 დეკემბერი

ადვენტის ჟამის I კვირა [I] ი

2019 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

მიენდეთ უფალს უკუნისამდე ეს 26,4

ჩემთვის ეს სიტყვა მუდამ მამობრივი სიყვა-
რულის, ღმრთიური სიყვარულის ძვირფა-
სი სამკაულია, მშვიდ სიხარულს რომ მა-
ნიჭებს. მაშინაც კი როდესაც არ შემიძლია
შეყვარება, მაშინაც კი როდესაც ვცოდავ,
მაშინაც კი როდესაც ვერ ვითავისებ ჩემს
უძლურებას, მამა მთხოვს, რომ მის გულს
შევეფარო და მის ხელებს მივენდო. ეს
შეიძლება რთული იყოს ჩემთვის, მაგრამ
მისთვის ძლიერ საამურია: ეს ნიშნავს, რომ
კარი გავუღო მის ყოვლისშემძლეობას!

6 დეკემბერი

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +326, (მ), თ

2019 პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ მთ 9,29

იესო, შენ ხარ 'შეყვარებული' მამაშენისა! და გინდა, რომ ჩვენს შორისაც, მიწაზე, მოიტანო სიყვარულის გასაოცარი სიცოცხლე, მასთან ერთად რომ იზიარებ სამარადისოდ. ამიტომაც, გვთხოვ, რომ შენ მოგეკროთ და მოგენდოთ, რათა ხორცი შევასხათ შენს სიტყვებს! შენ კი მოქმედებ ჩვენთვის, რათა ჩვენი ცხოვრება მართლაც იცნობდეს სიხარულს! გმადლობ, იესო!

7 დეკემბერი

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., +397, (მ), თ

2019 შაბათი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-10,1.6-8

სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტანი არიან მთ 9,37

დღეს, შენი სურვილისამებრ, იესო, ვლოცულობთ: "მამაო, ყოველი ქრისტიანი აქციე შენი სამკალის ნამდვილ მუშაკად. აღავსე ისინი სულიწმიდით, რათა საკუთარ თავზე კი აღარ იფიქრონ, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ შენი სიყვარულის იარაღი იყვნენ ძისეული ცხოვრების მაგალითით, რომელიც შენს მიმართაა მონდობილი და გაცემული. მეც მაქციე ნიშნად და იარაღად შენი თანაგრძნობისა მის მიმართ, ვინც ჯერ კიდევ არ იცნობს შენს სიყვარულს!".

8 დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

2019 კვირა

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გიხაროდენ, მიმადლებულო! შენთანაა უფალი ლკ 1,28

უფლის სიტყვა თავისი დაპირებებით, ადამიანის ისტორიასა და მისი ტანჯვა-წამებაში, აღსრულდება. ადამიანის ცოდვას, მისი მოყვარულისთვის ზურგშექცევას და მის შემდგომ სიმარტოვეს, სიშიშვლეს, სიკვდილისკენ სვლას მამის სიყვარული პასუხობს: მან მოგვცა ძე, იესო, ჩვენი მხსნელი! ახლა ანგელოზს შეუძლია ახაროს მარიამს, ყველა გამოსყიდულის დედას: "გიხაროდეს, მიმადლებულო: უფალი შენთანაა!".

9 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

2019 ორშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

უთხარით გულშემდრკალთ: „გამაგრდით, ნუ გეშინიათ“! ეს 35,4

ლოცვის, დუმილის, მოსმენის, სიფხიზლის ჩვენი ვალდებულება ადვენტის ამ ჟამს არის სიყვარულის აქტი, რომლითაც ახალ ლიტურგიულ წელიწადს ვიწყებთ. მისგან, როგორც ცოცხალი და გრილი წყაროსგან, მოგვეცემა ძალა, რომ იესო ვაუწყოთ იმას, ვინც ჯერაც არ იცნობს მას და ბრმაა: შინაგანი სინათლის გარეშე; ვინც ყრუა: ზეციერი მამის სიყვარულის სიტყვებში ჩაკეტილი; ვინც ხეიბარია: მობარბაცე და უძლური ცხოვრების გზებზე. სიხარულით, შეუპოვრობითა და სიყვარულით ვილო-ცოთ: მოდი, უფალო იესო!

10 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

2019 სამშაბათი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება (+1973)

ჩვენი ღმერთის სიტყვა კი საუკუნოდ დგას ეს 40,8

საკუთარ თავს ვეკითხები: ხალხისთვის იესოსგან ნაუწყები ამხელა სიტყვა რატომ გადმოგვეცა სახარებაში შედარებით მცირედ? ღმრთის სიტყვა მართლაც დიდი საიდუმლოა: ის ნიშნავს, თუ როგორ ურთიერთობს ჩვენთან მამა, რომელიც მუდამ მხოლოდ სიყვარულია. ესაა მუდმივი ურთიერთობა, ვინაიდან მას ვუყვარვართ, ჩვენი მამაა, სიცოცხლეს გვაძლევს. მისი მიღება ნიშნავს, რომ შევიდეთ მასში, მის სიხარულში, ეს ნიშნავს მისი სიყვარულის გაზიარებას. მოდი, უფალო იესო, სიტყვავ მამისა!

11 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. დამას I, პაპი, +384

2019 ოთხშაბათი

ეს Ч0,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

მოდით ჩემთან,
ყოველნო მაშვრალნო მთ 11,28

რამხელა ჯაფა იყო საჭირო ჩემს ბავშვობასა და სიყმაწვილეში იმის დასაცავად, რაც უფლის რჯულად მიმაჩნდა... და ისე, რომ არასდროს მიპოვია სიმშვიდე! შემდეგ შენ, იესო, თავი გამიცხადე: ცოცხალი, მოსიყვარულე, სიმდაბლითა და თანაგრძნობით აღვსილი შენს წმიდა ეკლესიაში. კვლავ მოგვიხმე შენთან, ვინაიდან შენ მხოლოდ ის გინდა, რომ სიკეთე და ჭეშმარიტი სიცოცხლე მოგვცე! მოდი, უფალო იესო!

12 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი, 1531;
(29.XI) წმ. აბიბოს ნეკრესელი, ეპ., წამ., VIს.

2019 ხუთშაბათი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

ნუ გეშინია, მე შეგეწევი! ეს 41.13

ღმერთი, იესომ რომ გაგვიცხადა, მამა, ჩვენ როდი გვგავს! იგი, თავისი კეთილგანწყობითა და გულმოწყალეობით, ათასჯერ აღგვემატება. ვერასდროს ვიტყვით: "ძალზე გლახაკი, ძალზე ცოდვილი ვარ იმისათვის, რომ უფალს ვთხოვო შემწეობა!". არა, ჩვენდამი შეწევნა, ჩვენი დახსნა ყოველგვარი ვითარებიდან, ყველაზე უიმედოც რომ იყოს, სწორედ მისი სიხარული და დიდებაა. იგი ამას მუდამ აკეთებს, რისთვისაც იესოს გვიძღვნის!

13 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II]
წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგ., +502; წმ. პეტრე კათ., Vს;
წმ. სამოელ კათ., V-VIსს

2019 პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, გასწავლი, რათა სარგებელი ნახო ეს 48,17

ის, რასაც შენ მთავაზობ, იესო, – სახარების მეშვეობით, ეკლესია რომ გადმომცემს და მიხსნის, მოძღვრისა და ძმების მეშვეობით, რომლებიც მეხმარებიან, რომ შენი ხმა გავარჩიო მრავალ ხმას შორის –, ერთადერთი რამაა, რასაც შეუძლია სიცოცხლე მომცეს, რასაც შეუძლია სისავსე მიანიჭოს ჩემს გულს! დიახ, ვინაიდან ესაა სიბრძნე, ჭეშმარიტი სიყვარულიდან რომ მოდის, სიყვარულიდან, რომელმაც მისურვა და შემქმნა.

14 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II]

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ), თ

2019 შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

ელია უკვე მოვიდა,
თუმცა ვერ იცნეს იგი მთ 17,12

სულიწმიდა, რომელიც ელიაში ლაპარაკობდა, დაბრუნდა, რომ ხალხს ელაპარაკოს იოანე ნათლისმცემელში. მაგრამ მხოლოდ ცოდვილებმა, მხოლოდ მათ, ვინც თავი დაიმდაბლეს და ღმრთის მოწყალება ითხოვეს, იცნეს იგი და მიიღეს მისი ნიჭები. იესო, თუკი შეგიცნობ შენ, როდესაც ჩემი ძმების მეშვეობით მელაპარაკები, უმცირესებიც რომ იყვნენ, და მათ წინაშე მამდაბლებ, შემიძლია შენი ხსნა მივიღო! მოდი, უფალო იესო!

15 დეკემბერი

ადვენტის ჟამის III კვირადღე, «ა», [III], ვ

2019 კვირა

ეს 35,1-6.8.10; ფს 145; იაკ 5,7-10; მთ 11,2-11

წადით და აუწყეთ იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ მთ 11,4

ასე პასუხობს იესო იოანესგან წარგზავნილთ, რომლებიც მისი ვინაობის შესახებ ეკითხებიან. ეს მნიშვნელოვანი სიტყვებია ჩვენთვისაც: თუ გვსურს, რომ ჩვენი საყვარელი ან ახლობელი ადამიანებიდან ვინმემ გაიცნოს იესო, ან თუ ვინმე რამეს გვკითხავს მასზე, ყველაზე სარწმუნო პასუხი იქნება ჩვენი ცხოვრება, სიყვარულში რომ ვატარებთ. ესაა სარწმუნო ნიშანი ჭეშმარიტი ღმერთის, მამის, მყოფობისა.

16 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

2019 ორშაბათი

რიცხ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას? მთ 21,23

გარკვეული დროის წინ ჩვენთან იყო ერთი პროფესორი მღვდელი, რომლის მოწაფეებიც ახლა ეპისკოპოსები ან პატრიარქები არიან. მან მარტივად გვიჩვენა, თუ რომელია ფუძე სიტყვისა 'ხელმწიფება' - auctoritas, რომელიც სახარებაში გვხვდება: ესაა 'ავტორი'. ამგვარად, 'ხელმწიფება' კეთების, შექმნის აზრს შეიცავს, იესო, შენ მართლაც სავსე ხარ ხელმწიფებით: შენში მკვიდრობს მამა, დღეს, ვითარცა პირველად, ყოველივეს შემოქმედი!

17 დეკემბერი

შობის ნოვენის დასაწყისი [ს] ი

2019 სამშაბათი

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

იუდა, გადიდებენ ძმები დაბ 49.8

ადვენტის ჟამს და, განსაკუთრებით, შობის მოახლოებულ დღეებში, ლიტურგიაში მრავალჯერ მოიხსენიება იუდა და მისი ერი. გზა, რომლითაც მამამ წარმოგვიგზავნა მაცხოვარი, არ გადის ვარსკვლავებზე, არამედ ადამიანის ისტორიაზე, წინააღმდეგობებით, ცოდვებითა და მათგან გამოწვეული ტანჯვით დაღდასმულ ისტორიაზე. კვლავ მოდი ჩვენს შორის, იესო, მაცხოვარო, შენ, რომელსაც არასდროს გძაგს ისინი, ვინც მამამ თავისი სიყვარულის სიტყვით ისურვა და შექმნა!

18 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2019 ოთხშაბათი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის მთ 1,20

სიზმარში ანგელოზმა იოსებს უთხრა სიტყვა, წინათ რომ არასდროს გაეგონა და წარმოედგინა; სიტყვა, რომელსაც შეეძლო მოერჩინა მისი გულის ტრაგედია და სიმშვიდე მიენიჭებინა მისთვის. იოსებმა ირწმუნა, იგი მიენდო მამას. მოდი, იესო, მოგვმადლე ჩვენ მდაბალი და მორჩილი გული, შვილებრივი გული: მაშინ კი მოვისვენებთ და ბევრისთვის ვიქნებით შენი ხსნის იარაღი.

19 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2019 ხუთშაბათი

მსჯ 13,2-7.24-25; ფს 70; ლკ 1,5-25

ნუ გეშინია, ზაქარია, რადგან შესმენილია შენი ლოცვა ლკ 1,13

ზაქარია, თავის მეუღლე ელისაბედთან ერთად, მრავალი წლის განმავლობაში ევედრებოდა შვილს: ამ წყვილს, ისევე როგორც ყველა დანარჩენს ისრაელში, იმედი ჰქონდა, რომ აღთქმული მაცხოვრის მოსვლის იარაღი იქნებოდა. რა მშვენიერია ჩვენთვის იმის ცოდნა, რომ ჩვენი ყოველი ჭეშმარიტი ლოცვა, - ლოცვა, იესოს მოსვ-ლას რომ ითხოვს, - ყოველთვის შესმენი-ლი იქნება! მხოლოდ ნდობა და მოთმინება გვესაჭიროება. ამიტომაც, მუდამ გვქონდეს სასოება!

20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2019 პარასკევი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

არ გამოვცდი უფალს ეს 7,12

წინასწარმეტყველმა მოუხმო მეფეს, რომ უფლისთვის ეთხოვა ნიშანი, მაგრამ მეფე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმრთის სიტყვის თავისეული გააზრება ყველაზე სწორი იყო, არ დაემორჩილა მას. რო-დესაც იესო მესაუბრება - სახარების ან მოძღვრის, ანდა ძმების ან ცხოვრებისე-ულ გარემოებათა მეშვეობით, - მსურს, რომ თავმდაბალი ვიყო და ჩემი კეთილი ფიქრები დავადუმო. ღმრთის სიტყვა ყო-ვლისშემძლეა სიყვარულში: ეს სიტყვა შენა ხარ, იესო! მოდი, ყოველდღე!

21 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

2019 შაბათი

ქებ 2,8-14 ან, სოფ 3,14-18; ფს 32; ლკ 1,39-45

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის
და კურთხეულ არს ნაყოფი
მუცლისა შენისა ლკ 1,42

მარიამს ჯერ სიტყვაც კი არ ეთქვა..., ხოლო ელისაბედი "აღივსო სულიწმიდით", და შესძახა სიტყვები, რომლებიც ლოცვად იქცევა ყოველი ქრისტიანის ბაგეზე. დავრჩეთ სულიწმიდაში, მიღების, უფლისადმი ყურადღების, ძმებისადმი სიყვარულის სულში: თავად სულიწმიდა წარმოათქმევინებს ჩვენს ბაგეებს ჭეშმარიტ და წმიდა სიტყვებს.

22 დეკემბერი

ადვენტის ჟამის IV კვირადღე, «ა», [IV], ი

2019 კვირა

ეს 7,10-14; ფს 23; რომ 1,1-7; მთ 1,18-24

გააჩენს ძეს და უწოდებ სახელად იესოს მთ 1,21

სრულიად ახალი ფიქრები ღმერთისა; მართლაც მოულოდნელი, ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას რომ სცდება მისი ჩარევები ჩვენს სასიკეთოდ! მას ყველაფერი ძალუძს, ჩემთვისაც, დღეს. მე მხოლოდ მდაბალ, ნდობით სავსე გულს მთხოვს, გულს, რომელიც მის სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობს. მარიამ და იოსებ, კვლავ მოგვეცით თქვენი იესო!

23 დეკემბერი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

2019 ორშაბათი

მალ 3,1-4,23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

მოვავლენ ჩემს ანგელოზს, რომელიც გაამზადებს გზას ჩემს წინაშე მალ 3,1

მე ვემზადები შენი მოსვლისთვის, იესო! შენ კი მეც მიგზავნი ძმას, რომ დამეხმაროს; ძმას, რომელიც შენი სახელით ისმენს ჩემს ცოდვებს და შენს შენდობას გადმომცემს; მას შეუძლია დამტუქსოს, შემაგულიანოს, სინათლის სიტყვა მომცეს. შენს დღესასწაულამდე, ყრმაო იესო, არ დავაკლდები შენთან შეხვედრას წმიდა აღსარებაში.

24 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

2019 სამშაბათი

2მეფ 7,1-5.8-12.14.16; ფს 88; ლკ 1,67-79

და შენ, ყრმაო, დაგერქმევა უზენაესის წინასწარმეტყველი ლკ 1,76

ზაქარიამ, თავის მეუღლე ელისაბედთან ერთად, ბევრი ილოცა, დიდხანს ელოდა ამ ძეს! ახლა მისი ხელში აყვანა შეუძლია. იგი "აღივსო სულიწმიდით", აკურთხებს უფალს და შეიცნობს ამ თავისი ძისათვის მომზადებულ დავალებას. ქრისტიანული ოჯახებისთვის ყოველი შვილი მამის დიდებული ძღვენია, არა მარტო მათთვის, არამედ მთელი საკრებულოსთვისაც.

25 დეკემბერი

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

2019

ოთხშაბათი

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის

იო 1,14

ვხარობთ შენი მოსვლით, ძეო ღმრთისაო, უფალო იესო! შენ ჩვენთან ხარ, რათა მამის სიბრძე და სიყვარული გადმოგვცე. იგია, ვინც შენ აღგავსებს თავისი სულიწმიდით, ვინც თავის სიტყვად გაქცევს, სიტყვად, ჩვენს გულებში რომ შემოდის და მათ შვილებისა და ძმების გულებად აქცევს. გმადლობ, იესო, რომ ჩვენს შორის მოხვედი, კვლავაც ცოდვილნი რომ ვიყოთ. შენთან ერთად შევიცვლებით!

26 დეკემბერი

შობის რვადღეულის II დღე

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

2019 ხუთშაბათი

საქმ 6,8-10,12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება მთ 10,22

ყრმაო იესო, შენ ისურვე, რომ შენი აკვნის გვერდით გავიხსენოთ პირველწამებული წმ. სტეფანე: მან შენთან ერთად დაითმინა მაშინაც კი, როდესაც შენმა მტერმა მოიძულა იგი. შენ იხსენი იგი: ახლა მას შეუძლია კვლავ განგადიდოს თავისი სიყვარულით, და თავისი მოწმობით გამოგაცხადოს მეფედ და უფლად.

27 დეკემბერი

შობის რვადღეულის III დღე

წმ. იოანე, მოც. და მახარ., დ, [ს], თ

2019 პარასკევი

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

ვიხილეთ და ვმოწმობთ 1იო 1,2

იოანე, უფლის საყვარელო მოციქულო, შენ გქონდა მადლი, რომ მოგესმინა, გეხილა, შეხებოდი "სიცოცხლის სიტყვას", და მასში ჰპოვე სისავსე. სიყვარულით აღძრულმა დაამოწმე ის, რომელიც კვლავ ქმედითია, რომელზეც შეგვიძლია დავაფუძნოთ ჩვენი რწმენა. ახლა ჩვენც, შენთან ერთად, იესოში გვაქვს სიცოცხლე! მადლობას გწირავთ, ვინაიდან კვლავ დახრილი ხარ იესოს მკერდზე: ჩვენთვისაც მოიქეცი ასე!

28 დეკემბერი

2019

შობის რვადღეულის IV დღე

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის
წამებულნი, დ, [ს], წ

შაბათი

1იო 1,5 – 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

ღმერთი არის ნათელი და არ არის მასში არავითარი ბნელი 1იო 1,5

ეს ნათელი წუთისოფელში შემოვიდა! ბნელი გაშმაგდა, მრავალი უდანაშაულო ჩვილი, მრავალი მამა და დედა დატანჯა... ეს ტანჯვა კი ჯერაც არ დასრულებულა. მაგრამ ვინც ქრისტეს ეკვრის, ის ნათელს ხედავს, ის მუდამ ზეციერი მამის სიყვა-რულს ხედავს; დამითაც კი ხედავს მას.

29 დეკემბერი

შობის რვადღეულის V დღე

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ა» [ს] თ

2019 **კვირა**

ზირ 3,2-6.12-14; ფს 127; კოლ 3,12-21; მთ 2,13-15.19-23

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ისიც ადგა, ღამით წაიყვანა ყრმა და დედამისი, და წავიდა ეგვიპტეში მთ 2,14

დღეს, წმიდა ოჯახის დღესასწაული ყოველი ქრისტიანული ოჯახის დღესასწაულია: ესაა შესაძლებლობა, რომ მადლობა შესწირონ მამას ყოველი ძღვენისათვის; ესაა შესაძლებლობა, რომ განაახლონ ნდობა მის მიმართ, ვინც მათ მიუძღვის და შეეწევა განსაცადელის ჟამს; ესაა შესაძლებლობა, რომ გააძლიერონ ერთობლივი ლოცვა და სიყვარულის, მოთმინების, მიტევებისა და მოწმობის განახლებული ძალა მიიღონ. ქრისტიანულ ოჯახში მუდამ მყოფობს იესო, ამიტომაც მისთვის ნაცნობია სიხარული!

30 დეკემბერი

შობის რვადღეულის VI დღე [ს] თ

2019 ორშაბათი

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ღვთის ნების აღმსრულებელი კი უკუნისამდე რჩება 1იო 2,17

შენს შვილებს შორის, კეთილო მამაო, მე ყველაზე უძლური ვარ! ადვილად ვანებებ, რომ გრძნობებმა მძლიოს და მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში ვვარდები. მაგრამ მთელი გულით გიხდი მადლობას: ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებში კარგი მშობლები, ნათესავები და მასწავლებლები მომეცი, ხოლო ახალგაზრდობიდან მოყოლებული - წმიდა სულიერი ოჯახი. ასე შემიყვარე და დამიფარე შენს წმიდა ნებაში, სადაც ოდენ მშვიდობა და საუკუნო სიცოცხლეა. გმადლობ, კეთილო მამაო!

31 დეკემბერი

შობის რვადღეულის VII დღე [ს] თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335

2019 სამშაბათი

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს იო 1,9

დღეს ვასრულებთ ამ წელიწადს: მას იესოსთან ერთად ვასრულებთ. იგია ნათელი, რომელიც მოგვმადლის, რომ ყოველივე დავინახოთ - ყოველი დღე, ყოველი მოვლენა - როგორც მამის სიყვარულის ძღვენი. ესაა დღე, რომ მადლობა შევწიროთ იმის გამოც, რაც ჯერ კიდევ არ გვესმის: "ჭეშმარიტად ღირსეული და სამართლიანი, სავალდებულო და მაცხონებელი..."